

№06

06 ապրիլ 2015 թվական

Սայարտական դաշտային մարզական բարեկարգության
ժամանակակից պահանջման անձնագիրը

Տեղական մարզական բարեկարգության անձնագրի համար՝

տվյալները մուտքագրվել են 2015 թվականի 1 ապրիլ թվականի ժամանակակից պահանջման անձնագրի համար՝

Տեղական մարզական բարեկարգության անձնագրի համար՝


Տարբերակակից պահանջման անձնագրի համար՝

Հայաստանի Հանրապետության առաջարկագործությունների նախարարության անձնագրի համար՝

Տեղական մարզական բարեկարգության անձնագրի համար՝



Տ. Բ. Տ. Ը.



სარეაბილიტაციო საპროექტო ობიექტის წინასწარული

**არსებული მდგომარეობის აღწერა და დაზიანების გამომწვევი მიზეზების
შეფასება**

თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი №19

საპროექტო შენობა მდებარეობს რუსთაველის პროსპექტის შუაწელს ოდნავ ზემოთ, სასტუმრო “მარიოტის” მრუდის შემდეგ, მიჯრით განლაგებული ნაგებობების მარჯვენა განაშენიანების რიგში. ერთ მხარეს მას რუსთაველის თეატრი, ხოლო მეორე მხარეს ძველი საცხოვრებელი სახლი ეკვრის. ნაწილობრივ, არსებულ შენობაზე შეიმჩნევა გადაკეთებები. (იხ.
სახელოვნებათმცოდნეო წინასწარული კვლევა)

ზედაპირულმა დათვალიერებამ თვალნათლივ გვიჩვენა უკანა ფასადის სერიოზული დაზიანებების ხარისხი.

შენობის დაზიანებების გამომწვევი მიზეზების ზუსტი დადგენა მოხდება მასზე ჩასატარებელი კონსტუქციულ და გეოლოგიურ კვლევების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდება ნაგებობის რეაბილიტაციის პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება პირვანდელი არქიტექტურული იერსახის შენარჩუნება.

ბროსეს ქუჩის მხარეს არსებული ფასადის აღდგენა შესაძლებელია ზედ არსებული რამოდენიმე დეტალისა და შენობაზე ჩატარებული სახელოვნებათმცოდნეო, საარქივო კვლევების შედეგებზე დაყრდნობით.

სარეაბილიტაციო საპროექტო ობიექტის წინასწარული სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინო უნივერსიტეტი, ყოფილი სასტუმრო “პალას ოტელი”

თბილისი, შოთა რუსთაველის გამზირი №19

ამ ადგილას არსებული შენობა 1840-იან წლებში აგებულ თრბელიანების მოზრდილ ორსართულიან სახლს წარმოადგენდა. 1910 წელს სახლი გაიყიდა მსხვილ ვაჭარზე მიქაელ არამიანცზე, რომელმაც შენობა არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვის ნეოგოთიკური და მოდერნული ელემენტებით აღჭურვილი პროექტით სასტუმრო “პალას ოტელისთვის” გადაკეთა. ამ დროს შენობას დაემატა მესამე სართული და მთლიანად შეეცვალა ფასადი, რომელმაც ოთხი რიზალიტი შეიძინა. განაპირა რიზალიტები მაღალი ატიკებით, ხოლო მათ შორის ორი-პირამიდულად გადახურული კოშკებით დაგვირგვინდა. ფასადის ცენტრში გამართულ შესასვლელის თავზე კონსოლებზე დაბჯენილი ერკერი გაკეთდა. ფასადი სხვადასხვა დონეზე გაცოცხლდა ლითონისა და ქვის სწორკუთხა და ოვალური აივნების მონაცვლეობით. 1918 წელს სასტუმროს ინტერიერი ხანძარმა შეიწირა. ნაგებობა აღადგინეს მხოლოდ 1923-1924 წლებში მაბესალომოვის პროექტით, რიმლის მიხედვითაც მთავარი ფასადისთვის კოშკურების გაკეთება გათვალისწინებული არ იყო. 2012 წელს კოშკების რეაბილიტაციაც განხორციელდა და ფასადს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. დათვალიერებისას ჩანს, რომ შეკეთდა სახურავიც.

შენობა დგას რუსთაველის პროსპექტის შუაწელს ოდნავ ზემოთ, სასტუმრო “მარიოტის” მრუდის შემდეგ, მიჯრით განლაგებული ნაგებობების მარჯვენა განაშენიანების რიგში. ერთ მხარეს მას რუსთაველის თეატრი, ხოლო მეორე მხარეს ძველი საცხოვრებელი სახლი ეკვრის. მთელი თავისი ფრონტით პროსპექტისკენ გაშლილი მთავარი ფასადი კოშკურების რეაბილიტაციის დროს განაახლეს.

როულ რელიეფზე აღმართული, ვაბაშიძის ქუჩისკენ გამომავალი შენობის უკანა ფასადი, რომლის სართულიანობა დაქანებისკენ საგრძნობლად იზრდება დაზიანების ძლიერი ხარისხით გამოირჩევა მას მარცხენა მხარეს მთელ სიმაღლეზე პერპენდიკულარულად უახლოვდება ტლანქად შეღესილი მინაშენის სწორკუთხა ფრთა. შენობას შეენიშნება საპირისპირო მხარეს სიმეტრიულად არსებული ასეთივე მორდვეული ფრთის კვალი. მინაშენიდან განაპირა კოშკურამდე კედლის მონაკვეთზე უკანა ფასადს საცხოვრებელი სახლები ეკვრის. ზედა დონეზე გაჭრილი ოთხმალიანი ფართო სარკმლებიდან მხოლოდ შუას აქვს შერჩენილი ოდნავ შეისრული თაღოვანი არქივოლტი. საკმაოდ დაზიანებულია სარკმლების დიობები და ჩარჩოებიც, გაშიშვლებულია კედლის აგურის წყობა. პერპენდიკულარული ფრთის საპირისპირო მონაკვეთი ზედა ორ

დონეზე შუშაბანდებით იქნებოდა გახსნილი. დღეისათვის დიობები ნაწილობრივ აგურით ამოქოლილია, დარჩენილები კი ძლიერად დაზიანებულია.. შედარებით უკეთ არის მოღწეული შუაწელში განლაგებული სამმალიანი სარკმლების რიგი. რასაც ვერ ვიტყვით ქვედა დონეების დიობებზე. აქ ფაქტობრივად დაკარგულია სარკმლების ავთენტური ფორმები, გადაკეთებულია ცხაურებით დაცული დიობები. იგივე უნდა ითქვას ვაბაშიძის ქუჩის სადარბაზო შესასვლელებზეც. ამ მონაკვეთის კედელიც მინაშენის მსგავსად ტლანქად შელესილია, ადგილებში გაშიშვლებულია აგურის წყობა.

მორდვეული მინაშენის გაგრძელებაზე, სადაც ამჟამად რდპ-ს პარტიისა და საპატრიარქოს დაწესებულებები ფუნქციონირებენ კედლის მონაკვეთი მესამე დონეზე მსუბუქი წახნაგოვანი ერკერით გამოდის, რაც ფასადს დანარჩენ სართულებზეც უნდა ჰქონოდა. ისინი შემორჩენილია საფუძვლიანად გადაკეთებული მეტალოპლასტმასის შუშაბანდების სახით. დაზიანებული ადგილები ამოყვანილია ფანერით. ერკერს ავთენტური ფორმით შემონახული აქვს არიქტექტურულ-კონსტრუქციული და დეკორატიული ელემენტები, შუაში სამმალიანი და გვერდებში ორმალიანი მადალი სარკმლის დიობები თავისივე ხის ჩარჩოებით. ამ მონაკვეთზე ალაგ-ალაგ შერჩენილია დეკორატიული ნალექსობა,ც

უკანა ფასადის მთელ პერიმეტრზე მოღწეულია კრონშტაინებზე დაბჯენილი სახურავის შევრილი. ეზო ამჟამად საყოფაცხოვრებო დანიშნულების უსახო მცირე მოცულობებითაა დატვირთული.

ინტერიერი 1939 წლიდან ადაპტირებულია შენობაში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესაბამისად, რაც ვიწრო დერეფნებსა და ფასადების მხარეს გამართულ აუდიტორიებს მოიცავს. კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის ისტორიიდან გამომდინარე შემონახულია ქართული კინოსა და თეატრის დამაარსებლების აუდიტორიები. ინტერიერის კედლები და სხვა კონსტრუქციებიც საგრძნობლად შელახულია.

ამგვარად, ზედაპირულმა დათვალიერებამ თვალნათლივ გვიჩვენა უკანა ფასადის სერიოზული დაზიანების ხარისხი, რომლის გაღრმავების პროცესიც შენობის სასწრაფო რეაბილიტაციის ჩაუტარებლობის შემთხვევაში შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს და სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. ფაქტობრივად, გასამაგრებელი და აღსადგენია ფასადის უკლებლივ უველა კონსტრუქცია. მოსაძიებელი და დასაზუსტებელია მათი ავთენტური ფორმების დაკარგული ნაწილები. სასწავლო პროცესის სრულფასოვანი ჩატარებისთვის ასევე აუცილებელია ინტერიერის კაპიტალურად გამაგრება-გაახლება.

ხელოვბათმცოდნეობის დოქტორი: მაია იზორია

გ. თბილისში, რუსთაველის გამზირის №19-ში, თბატონისა
და კინოს უნივერსიტეტის შენობის რეპრესტრაციის
პროექტისათვის შეღებილი ჭირასწარი საინიციატივი
გეოლოგიური დასკვნა

პროექტის ავტორი არქიტექტორის სიტყვიერი თხოვნის საფუძველზე
შედგენილი იქნა წინასწარი საინიციატივო გეოლოგიური დასკვნა ქ. თბილისში,
რუსთაველის გამზირის №19-ში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობის
რეპრესტრაციის პროექტისათვის.

გეომორფოლოგიურად შენობა განლაგებულია მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის
ჭალისზედა II ტერასაზე, რომელიც აღმოსავლეთისაკენ ერწყმის ჭალისზედა I
ტერასისაგან გამომყოფ დამრეც ფერდს.

არსებული საარქივო მასალების მონაცემების თანახმად, უბანზე, მიწის
ზედაპირიდან 2,0–2,5 მ-ის სიღრმემდე მოსალოდნელია ტექნოგენური (tQ_{IV})
ნაყარი გრუნტი. ჩაყარი გრუნტის ქვეშ 5,0–6,0 მ-ის სიღრმემდე მოსალოდნელია
დელუვიური (dQ_{IV}) თიხოვანი გრუნტი, რომელიც წარმოდგენილია მყარი და
პლასტიკური კონსისტენციის, თიხნართან ახლომდგრმი, ღიაყავისფერი
ქვიშნარით. ქვიშნარების ქვეშ მოსალოდნელია 1,0 მ-მდე სიმძლავრის ალუვიური
(aQ_{IV}), ქვიშის 30%-მდე შემავსებლიანი კენჭნაროვანი გრუნტი.

კენჭნაროვანი გრუნტი შემოფენილია ზედა ეოცენის (P₂) ძირითადი ქანებით
– ქვიშაქვების, თხელშრეებრივი თიხაფიქლების და არგილითების შრეების
მორიგეობით.

უბანზე გავრცელებულია გრუნტის წყლები, რომელთა დონეები
გამოვლენილია 4,5–5,0 მ-ის სიღრმეებზე. წყლებს ახასიათებს სხვადასხვა
ხარისხის სულფატური აგრესიულობა.

ზემოთ აღწერილი გრუნტები, ტექნოგენური გრუნტის ჩაუთვლელად,
წარმოადგენენ დამოუკიდებელ საინიციატივო გეოლოგიურ ელემენტებს (სბმ):

I სბმ – ქვიშნარები;

II სბმ – კენჭნაროვანი გრუნტი;

III სბმ – ძირითადი ქანები.

ან 01.01–09-ის („სეისმომედეგი მშენებლობა“) თანახმად, ქ. თბილისი
მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას. ამავე ნორმატივიული დოკუმენტის
ცხრილი 1-ის თანახმად, აღწერილი გრუნტები სეისმური თვისებების მიხედვით
მიეკუთვნებიან:

დამუშავების სიძნელის მიხედვით, სნ და წ IV-2-82 1-1 ცხრილის თანახმად,
აღწერილი გრუნტები მიეკუთვნებიან:

- ა) ნაყარი გრუნტი – დამუშავების სამივე სახეობისთვის (ერთციცხიანი
ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით) მიეკუთვნება – II ჯგუფს,
საშუალო სიმკვრივით 1800 კგ/მ³ (რიგ. №24^δ);
- ბ) ქვიშნარი – ერთციცხიანი ექსკავატორით დამუშავებისას – I ჯგუფს,
ბულდოზერით და ხელით – II ჯგუფს, სიმკვრივით 1600 კგ/მ³ (რიგ. №34^δ);
- გ) კენჭნარი – ყველა სახეობით დამუშავებისას – III ჯგუფს, სიმკვრივით
1950 კგ/მ³ (რიგ. №6^δ).

ინჟინერ გეოლოგი

ა. პასიკაშვილი

საინჟინრო გეოლოგიური კვლევების
განყოფილების მთავარი გეოლოგი